



დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე
(გადამუშავებული ვარიანტი)

2020 წელი

შინაარსი

დასკვნა.....	5
1. ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა.....	8
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი	10
3. შემოსულობები.....	11
4. გადასახდელები	14
5. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია	16
6. ასიგნებები	18

დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე (გადამუშავებული ვარიანტი)

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავ მუხლის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

-) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
-) მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
-) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
-) დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებლობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალების სამართლიან წარდგენაზე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომელსაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- 1) უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;

-) არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და საფუძვლიანი და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
-) არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ წარმოადგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი, სადაც გათვალისწინებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რიგი რეკომენდაციები. კერძოდ:

- „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებების“ დაფინანსება კანონპროექტის პირველად ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 2,755.0 ათასი ლარით, ხოლო „ქალაქ ბათუმის 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს აღჭურვა, ფუნქციონირება, რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და საკარანტინე სივრცის სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა“ – 200.0 ათასი ლარით;
- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პანდემიისა და მისგან გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ეფექტების გამო არსებული რისკების მატერიალიზაციის მაღალი ალბათობის გათვალისწინებით, ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა კანონპროექტის პირველად

ვერსიასთან შედარებით შემცირებულია 2,000.0 ლარით, ხოლო გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა - 21,000.0 ათასი ლარით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რიგი რეკომენდაციის სრულყოფილად შესრულება საჭიროებს დამატებით აქტივობებს, კერძოდ:

- პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით, წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მუშაობა პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებაზე. ასევე, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის პროცესთან დაკავშირებით შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობების, შესაბამისი ვადებისა და პასუხისმგებელი უწყებების მითითებით;
- ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მიზანშეწონილია, პრივატიზაციის პროცესი განხორციელდეს ეფექტიანად, მათ შორის, არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით და ახალი რესურსების მოძიების გზით;
- დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლების გაზრდის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მაკონტროლებელმა სამინისტროებმა, საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანი გამოყენებით, უნდა უზრუნველყონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში უკეთესი მენეჯმენტის განხორციელება. ყურადღება გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს ხედვა, არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან დაკავშირებით, საყურადღებოა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კანონპროექტის პირველად ვერსიაზე გაცემული ზოგიერთი რეკომენდაცია, რომელიც მიმდინარე მდგომარეობით არ არის გათვალისწინებული:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, განხორციელდეს „სხვა შემოსავლების“ კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების ანალიზი და სისტემურობის გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები;
- ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტით დაფინანსება ეზრდება ან პრაქტიკულად იგივე ნიშნულზე უნარჩუნდება ზოგიერთ ისეთ პროგრამას/ქვეპროგრამას, რომელთა შესრულების მაჩვენებელი 2020 წლის 11 თვის მდგომარეობით 40%-ზე დაბალია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასებული იქნეს მოსალოდნელი რისკები და გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები მომდევნო საბიუჯეტო წელს ანალოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში წარმოდგენილი შენიშვნებისა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

1. ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 326,474.0 ათას ლარს, ხოლო გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა – 328,474.0 ათას ლარს. შესაბამისად, კანონპროექტით დაგეგმილია ნაშთის 2,000.0 ათასი ლარით შემცირება. 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 2020 წლის ბიუჯეტთან მიმართებით იცვლება როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების პარამეტრები:



2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით, შემოსულობები 19,499.4 ათასი ლარით იზრდება, ხოლო გადასახდელები 10,000.6 ათასი ლარით მცირდება. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია „გადასახდების“ (35,000.0 ათასი ლარით, 13.7%-ით) და „არაფინანსური აქტივების კლების“ (9,655.7 ათასი ლარით, 55.7%-ით) მუხლების გეგმური მაჩვენებლების ზრდით, ხოლო გადასახდელებში იზრდება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი (12,150.2 ათასი ლარით, 14.1%-ით) და „ვალდებულებების კლების“ მუხლი (833.7 ათასი ლარით, 30.9%-ით), ხოლო „ხარჯების“ მუხლი მცირდება (22,984.5 ათასი ლარით, 9.2%-ით).

2020 წლის ბიუჯეტის შემცირებულ გეგმასთან¹ მიმართებით, 2021 წელს შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 19,499.4 ათასი ლარით (6.4%-ით) გაზრდილია იმ პირობებში, როდესაც 2020 წლის 11 თვის მონაცემებით შემოსულობების შესრულება წლიური გეგმის მხოლოდ 77.8%-ს შეადგენს და ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზის შემთხვევაშიც, მოსალოდნელია, რომ წლიური შესრულება 90%-ის ფარგლებში იქნება.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში, წინა ვერსიასთან შედარებით, ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და დაუახლოვდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზებს. 2021 წლის ეკონომიკური ზრდა 4.3%-ის დონეზე განისაზღვრა, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში (2022-2024 წლებში) პროგნოზირებულია 5.5%-იანი ზრდა (წინა პროგნოზი - 5%). IMF-ის შეფასებითაც, 2021 წლის ეკონომიკური ზრდა განსაზღვრულია 4.3%-ით, თუმცა იმავე შეფასებით, ქვეყანაში არსებობს უფრო დაბალი ეკონომიკური ზრდის გამომწვევი რისკები.

აღნიშნულ პირობებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების საპროგნოზო მოცულობები განისაზღვროს მიმდინარე წლის ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების სათანადო ანალიზით.

¹ 2019 წლის 17 დეკემბერს დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტით, შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 322,094.3 ათასი ლარით. 2020 წლის 30 აპრილს განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების გეგმა შემცირდა და განისაზღვრა 318,594.3 ათასი ლარით, ხოლო 2020 წლის 8 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებებით, კიდევ შემცირდა და განისაზღვრა 306,974.6 ათასი ლარით.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისად, 2021 წლის შემოსავლები 299,474.0 ათასი ლარით, ხარჯები 226,603.0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება კი 71,341.4 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 2021 წლისთვის 72,871.0 ათას ლარს, ხოლო მთლიანი სალდო 1,529.6 ათას ლარს შეადგენს.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის გეგმა	2021 წლის პირველადი გეგმა	2021 წლის გადამუშავ. გეგმა	ზრდა/კლება 2020-2021 წწ.	ზრდა/კლება 2021 (გად.)-2021 (პირ.)	ზრდა/კლება 2020-2021 წწ. (%)
შემოსავლები	268,907.5	301,474.0	299,474.0	30,566.5	-2,000.0	11.4%
ხარჯები	247,238.1	230,121.7	226,603.0	-20,635.1	-3,518.7	-8.3%
საოპერაციო სალდო	21,669.4	71,352.3	72,871.0	51,201.6	1,518.7	236.3%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	71,196.3	88,822.7	71,341.4	145.0	-17,481.3	0.2%
მთლიანი სალდო	-49,526.9	-17,470.4	1,529.6	51,056.6	19,000.0	-103.1%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-52,222.8	-21,000.0	-2,000.0	50,222.8	19,000.0	-96.2%
ვალდებულებების ცვლილება	-2,695.9	-3,529.6	-3,529.6	-833.7	0.0	30.9%
ბალანსი	0	0	0			
2020 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი						34,477.3
ნაშთი 2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით						28,697.8

კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით გადასახდელების ნაწილის დაფინანსება იგეგმება 2020 წლის ბოლოს რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთში აკუმულირებული თანხიდან (2,000.0 ათასი ლარი). ბიუჯეტის პარამეტრების ამ მოცულობით წარმოდგენით შეიძლება ითქვას, რომ 2020 წელს დაგეგმილია ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის მაქსიმალურად ათვისება. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების დაბალი მაჩვენებლებით (2020 წლის 11 თვის მონაცემებით, შემოსულობების შესრულება წლიური გეგმის 77.8%-ს შეადგენს).

ბიუჯეტის პირველად ვერსიასთან შედარებით, წარმოდგენილ პროექტში ხარჯების საპროგნოზო მოცულობა შემცირებულია 3,518.7 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური

აქტივების ზრდის საპროგნოზო მოცულობა - 17,481.3 ათასი ლარით. ჯამში, გადასახდელების 21,000.0 ათასი ლარით შემცირება გამოწვეულია 2020 წლის ბოლოს ბიუჯეტის ანგარიშზე აკუმულირებული ნაშთის მოსალოდნელი მოცულობის 19,000.0 ათასი ლარით შემცირებისა და შესაბამისად, 2021 წელს საპროგნოზო საპროცენტო შემოსავლების 2,000.0 ლარით შემცირების გამო.

3. შემოსულობები

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გადამუშავებული პროექტით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 326,474.0 ათას ლარს, რაც 2020 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 6.4%-ით, 19,499.4 ათასი ლარით აღემატება. შემოსულობების სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც შემოსავლების კომპონენტები, რომელიც 30,566.5 ათასი ლარით, ანუ 11.4%-ით იზრდება, ასევე არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი, რომელიც 9,655.7 ათასი ლარით, ანუ 55.7%-ით იზრდება. რაც შეეხება ფინანსური აქტივების კლებას (ნაშთის გამოკლებით), შემოსულობების აღნიშნულ კომპონენტში, 2021 წელს საპროგნოზო მაჩვენებლები განსაზღვრული არ არის.

ცხრილი 2. შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსულობები	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2020 წლის 11 თვე ფაქტი	2020 წლის 11 თვის შესრულება (%)	2021 წლის გეგმა	2020-2021 წწ. ზრდა/კლება
შემოსავლები	294,701.5	268,907.5	213,135.4	79.3%	299,474.0	11.4%
არაფინანსური აქტივების კლება	13,129.0	17,344.3	4,980.3	28.7%	27,000.0	55.7%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	20,722.8	20,722.8		-	
სულ შემოსულობები:	307,830.5	306,974.6	238,838.5	77.8%	326,474.0	6.4%

პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებზე, რის შედეგადაც შემოსულობების წლიური გეგმა 4.7%-ით შემცირდა. 2021 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტით, შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა მცირედით (1.4%-ით) აჭარბებს 2020 წლის ბიუჯეტით პანდემიამდე განსაზღვრულ გეგმურ

მაჩვენებლებს. მათ შორის, შემოსავლები შემცირებულია 1,776.0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი გაზრდილია 6,155.7 ათასი ლარით.

შემოსავლები

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გადამუშავებული პროექტით, „შემოსავლების“ მუხლის გეგმური მაჩვენებელი 299,474.0 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 30,566.5 ათასი ლარით, ანუ 11.4%-ით აღემატება 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებელს. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდა გადასახადების გაზრდილი მაჩვენებლებით არის გამოწვეული.

ცხრილი 3. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსავლები	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2020 წლის 11 თვე ფაქტი	2020 წლის 11 თვის შესრულება (%)	2021 წლის გეგმა	2020-2021 წწ. ზრდა/კლება
გადასახადები	274,871.5	255,000.0	203,269.2	79.7%	290,000.0	13.7%
გრანტები	-	-	-	-	-	-
სხვა შემოსავლები	19,830.0	13,907.5	9,866.2	70.9%	9,474.0	-31.9%
სულ შემოსავლები	294,701.5	268,907.5	213,135.4	79.3%	299,474.0	11.4%

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო საშემოსავლო გადასახადია, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი, ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტით 290,000.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 35,000.0 ათასი ლარით, ანუ 13.7%-ით აღემატება 2020 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით, ახალი კორონავირუსით (COVID - 19) გამოწვეული პანდემიის გამო ცვლილებების განხორციელებამდე,² საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 290,000.0 ათასი ლარით იყო განსაზღვრული.

2020 წლის შემცირებული გეგმის³ მიუხედავად, „საშემოსავლო გადასახადის“ 11 თვის შესრულება წლიური გეგმის მხოლოდ 79.7%-ს შეადგენს⁴ და წლიური შესრულება ოპტიმისტური პროგნოზით 88-90%-ის (225,000.0 ათასი ლარი) ფარგლებში იქნება. ამ

² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. 132-უ.ს.რ.ს. 08/08/2020.

³ 2019 წლის 17 დეკემბერს დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტით, შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 290,000.0 ათასი ლარით. 2020 წლის 8 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების გეგმა შემცირდა და განისაზღვრა 255,000.0 ათასი ლარით.

⁴ 2017 წელს საშემოსავლო გადასახადის 11 თვის შესრულება წლიური შესრულების 91.5%-ს შეადგენდა, 2018 წელს - 91.1%-ს, ხოლო 2019 წელს - 91.0%-ს.

მოცემულობაში, 2021 წლის გეგმა, 2020 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან მიმართებით 28.9%-ით იზრდება. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, COVID-19 პანდემიისა და მისგან გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ეფექტების გამო, მიზანშეწონილია, ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესში მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მიმდინარე და გასული წლების ტენდენციები და მოსალოდნელი პროგნოზები.

სხვა შემოსავლები

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გადამუშავებული პროექტით, „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მოცულობა 9,474.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 4,433.5 ათასი ლარით ნაკლებია 2020 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 11 თვის მდგომარეობით, სხვა შემოსავლებმა შეადგინა 9,866.2 ათასი ლარი, რაც 392.2 ათასი ლარით მეტია 2021 წლის წლიურ გეგმურ მაჩვენებელზე. პანდემიის გამო შემცირებული ეკონომიკური აქტივობის დროს ამ მოცულობის შემოსავლების მობილიზების პირობებში, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით სხვა შემოსავლების 9,474.0 ათასი ლარის დონეზე განსაზღვრა შემოსავლების პესიმისტურ დაგეგმვაზე მიუთითებს.

ცხრილი 4. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლები	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2020-2021 წწ. ზრდა/კლება
შემოსავლები საკუთრებიდან	13,827.0	15,827.1	11,287.6	8,200.0	-27.4%
პროცენტები	10,562.8	6,556.0	7,000.0	3,300.0	-52.9%
დივიდენდები	2,473.2	2,547.4	2,500.0	3,000.0	20.0%
რენტა	791.1	6,723.6	1,787.6	1,900.0	6.3%
მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე	0.1	0.1	-	-	-
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	644.3	828.9	387.6	900.0	132.2%
სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები	146.6	5,894.6	1,400.0	1,000.0	-28.6%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	629.4	571.5	304.9	300.0	-1.6%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	136.0	135.6	40.0	100.0	150.0%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	630.4	3,295.9	2,275.0	874.0	-61.6%
სულ სხვა შემოსავლები	15,222.9	19,830.0	13,907.5	9,474.0	-31.9%

4. გადასახდელები

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, გადასახდელების გეგმა 328,474.0 ათას ლარს შეადგენს და 3%-ით ნაკლებია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. კანონპროექტით 2020 წლის გეგმასთან მიმართებით 9.2%-ით (22,984.5 ათასი ლარით) მცირდება „ხარჯების“ მუხლის დაფინანსება, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ და „ვალდებულებების კლების“ მუხლები იზრდება, შესაბამისად, 14.1%-ით (12,150.2 ათასი ლარი) და 30.9%-ით (833.7 ათასი ლარი).

ცხრილი 5. გადასახდელები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2020 წლის 11 თვე ფაქტი	2020 წლის 11 თვის შესრულება (%)	2021 წლის პირველდი გეგმა	2021 წლის გადამუშ. გეგმა	2020-2021 წწ. ზრდა/კლება
ხარჯები	242,270.0	249,587.5	184,053.9	73.7%	230,121.7	226,603.0	-9.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	81,531.0	86,191.2	58,948.8	68.4%	115,822.7	98,341.4	14.1%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-			-		
ვალდებულებების კლება	2,166.2	2,695.9	1,615.3	59.9%	3,529.6	3,529.6	30.9%
სულ გადასახდელები	325,967.3	338,474.6	244,618.0	72.3%	349,474.0	328,474.0	-3.0%

ბიუჯეტის პირველად ვერსიასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციაში აღინიშნა, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური რეცესიის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, შემოსულობების და გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრები ბიუჯეტის შემდგომი წარდგენების პროცესში კიდევ გადაიხედოს. გადამუშავებულ ვარიანტში ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაცია და ჯამში, გადასახდელების მოცულობა 21,000.0 ათასი ლარით შემცირდა.


ხარჯები

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2021 წლის ხარჯების გეგმა 226,603.0 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 22,984.5 ათასი ლარით ნაკლებია 2020 წლის გეგმურ მაჩვენებელზე.

ცხრილი 6. ხარჯები ცალკეული კომპონენტის მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პირველადი გეგმა	2021 წლის გადამშ. გეგმა	2020-2021 წწ. ზრდა/კლება	2020-2021 წწ. ზრდა/კლება (%)
შრომის ანაზღაურება	35,929.5	38,483.2	38,551.2	38,528.7	45.5	0.1%
საქონელი და მომსახურება	35,431.1	59,656.6	42,889.1	42,663.4	-16,993.2	-28.5%
პროცენტი	1,877.8	1,072.0	1,020.2	1,020.2	-51.9	-4.8%
სუბსიდიები	6,259.3	7,051.7	11,216.4	9,708.9	2,657.2	37.7%
გრანტები (გაცემული)	75,165.5	85,810.9	80,200.0	82,927.9	-2,883.0	-3.4%
სოციალური უზრუნველყოფა	16,221.6	18,642.7	16,467.0	17,449.6	-1,193.1	-6.4%
სხვა ხარჯები	71,385.1	38,870.3	39,777.7	34,304.3	-4,566.0	-11.7%
სულ ხარჯები:	242,270.0	249,587.5	230,121.7	226,603.0	-22,984.5	-9.2%

დიაგრამა 1. ხარჯების მუხლის სტრუქტურა (პროცენტი)



ბიუჯეტის გადამუშავებული კანონპროექტით დაფინანსება ეზრდება ან პრაქტიკულად იგივე ნიშნულზე უნარჩუნდება ზოგიერთ ისეთ პროგრამას/ქვეპროგრამას, რომელთა შესრულების მაჩვენებელი 2020 წლის 11 თვის მდგომარეობით 40%-ზე დაბალია. მაგალითად, „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამაში (2020 წლის გეგმა - 1,198.6 ლარი, 2020 წლის 11 თვის შესრულება - 32.0%) 2020 წლის 11 თვის მონაცემებით აუთვისებელი დარჩა 814.5 ათასი ლარი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს

განმარტებით, ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი დაკავშირებულია COVID-19 პანდემიასთან, რის გამოც დროულად ვერ მოხერხდა ბენეფიციარებთან ხელშეკრულებების გაფორმება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასებული იქნეს მოსალოდნელი რისკები და გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები მომდევნო საბიუჯეტო წელს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ცხრილი 7. პროგრამების შესრულება (ათასი ლარი)

კოდი	პროგრამების დასახელება	2020 წლის დაზუსტებული გეგმა	2020 წლის 11 თვის საკასო ხარჯი	შესრულება (%)	2021 წლის გეგმა
04 13 02 02	რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით	360.6	143.0	39.7%	633.0
04 13 03 05	ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა	206.7	27.9	13.5%	376.0
05 14 01	კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა	690.8	210.1	30.4%	655.0
05 14 03	არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია	96.6	33.1	34.3%	160.0
05 18 02 01	ლაშქრობა და ბანაკები	144.3	31.3	21.7%	216.5
07 14	სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	1,198.6	384.0	32.0%	1067.2

5. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

2020 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით, 2021 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული პროექტით „საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების“ სფეროს დაფინანსება შემცირებულია 7.9%-ით, ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დაფინანსება - 8.9%-ით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება - 5.7%-ით და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება - 52.2%-ით, ხოლო იზრდება გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსება - 8.7%-ით, საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროს დაფინანსება - 87.5%-ით, დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროების დაფინანსება - 8.9%-ით და განათლების სფეროს დაფინანსება - 15.1%-ით.

ცხრილი 8. ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ათასი ლარი)


კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2020-2021 წწ. ზრდა/კლება	2020-2021 წწ. ზრდა/კლება (%)
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	137,503.9	126,582.5	-10,921.4	-7.9%
704	ეკონომიკური საქმიანობა	84,179.8	76,668.3	-7,511.5	-8.9%
705	გარემოს დაცვა	1,216.8	1,322.6	105.8	8.7%
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	16,000.0	30,000.0	14,000.0	87.5%
707	ჯანმრთელობის დაცვა	21,704.1	20,466.4	-1,237.7	-5.7%
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	24,576.6	26,763.1	2,186.5	8.9%
709	განათლება	28,163.9	32,407.8	4,243.9	15.1%
710	სოციალური დაცვა	22,433.6	10,733.7	-11,699.9	-52.2%
სულ:		335,778.7	324,944.4	-10,834.3	-3.2%

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეულია „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამის დაფინანსების 87.5%-იანი ზრდით. პროგრამის ფარგლებში სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ. „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსების შემცირება ძირითადად გამოწვეულია „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებების“ დაფინანსების 13,100.0 ათასი ლარით შემცირების გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პირველად ვერსიაში აღნიშნული სფეროს დაფინანსება შემცირებული იყო 15,855.0 ათასი ლარით, რაც პანდემიასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შეფასდა დაუსაბუთებლად და გასცა შესაბამისი რეკომენდაცია. ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია: „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებების“ დაფინანსების მოცულობა ბიუჯეტის პირველად ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 2,755.0 ათასი ლარით. ასევე აღსანიშნავია, რომ

ბიუჯეტის პირველად ვერსიასთან შედარებით 909.1 ათასი ლარით გაზრდილია ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება.

დიაგრამა 2. ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (პროცენტი)



ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის სტრუქტურის ანალიზი პრიორიტეტების მიხედვით ცხადყოფს, რომ 2021 წლისთვის შენარჩუნებულია ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად გასაწევი ხარჯების პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, 2021 წლის ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების შესაბამისად, ხარჯების უდიდესი წილი 5 ძირითადი პრიორიტეტის დასაფინანსებლად არის მიმართული: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 39.0%, ეკონომიკური საქმიანობა – 23.6%, განათლება – 10.0%, საბინაო კომუნალური მეურნეობა – 9.2% და დასვენება, კულტურა და რელიგია – 8.2%. დანარჩენი 3 პრიორიტეტის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამური ოდენობა მთლიანი დაფინანსების 10.0%-ს შეადგენს და ცალკეული პრიორიტეტისათვის 0.4%-იდან 6.3%-მდე მერყეობს.

6. ასიგნებები

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის გადამუშავებული პროექტის შესაბამისად, 2020 წლის საბიუჯეტო პარამეტრებთან შედარებით, ასიგნებები ეზრდებათ: განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს – 5,094.3 ათასი ლარით, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს – 162.3 ათასი ლარით, უმაღლეს საბჭოს – 100.0 ათასი ლარით და მთავრობის აპარატს - 17.7 ათასი ლარით. ამავე დროს, ასიგნებები უმცირდება უმაღლეს საარჩევნო კომისიას – 2,320.0 ათასი ლარით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს – 882.0 ათასი ლარით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს – 803.8 ათასი ლარით. მცირდება ასევე საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების მოცულობა 11,369.1 ათასი ლარით.

ცხრილი 9. ასიგნებები (ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2020-2021 წწ. ზრდა/კლება	2020-2021 წწ. ზრდა/კლება (%)
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	5,116.8	5,216.8	100.0	2.0%
02 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	3,021.0	701.0	-2,320.0	-76.8%
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი	3,000.2	3,017.9	17.7	0.6%
04 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	109,361.2	108,479.2	-882.0	-0.8%
05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	48,980.3	54,074.5	5,094.3	10.4%
06 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	26,837.7	27,000.0	162.3	0.6%
07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	15,704.7	14,900.9	-803.8	-5.1%
09 00	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	126,452.7	115,083.5	-11,369.1	-9.0%
სულ:		338,474.6	328,474.0	-10,000.6	-3.0%

2020 წლის ბიუჯეტის გეგმასთან მიმართებით მნიშვნელოვნად მცირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დაფინანსება. 2020 წელს მოცულობითი დაფინანსება გამოწვეული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

2020 წლის ბიუჯეტის გეგმასთან მიმართებით, 2021 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტით 11,369.1 ათასი ლარით მცირდება საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების დაფინანსება. მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება შემცირებულია 11,630.5 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისათვის საჭირო ქონების გამოსყიდვის სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემა - 3,092.9 ათასი ლარით, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 1,780.9 ათასი ლარით, ხოლო 5,931.6 ათასი ლარით გაზრდილია ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება.

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით, შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დაფინანსება, 2020 წელთან შედარებით შემცირებულია 13,461.2 ათასი ლარით, ხოლო 2021 წლის ბიუჯეტის პირველად ვერსიასთან მიმართებით - 5,468.4 ათასი ლარით. უფლებამოსილი პირების განმარტებით, ბიუჯეტის შემცირება განპირობებულია ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებით.

კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით, პირველად ვერსიასთან შედარებით, არ შეცვლილა უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი საარჩევნო კომისიის დაფინანსება, დაფინანსება გაეზარდა მთავრობის აპარატს (17.7 ათასი ლარით) და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (1,909.0 ათასი ლარით), ხოლო დაფინანსება შეუმცირდა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (14,884.0 ათასი ლარით), განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს (4,700.0 ათასი ლარით) და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (1,000.0 ათასი ლარით). შემცირდა ასევე საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების დაფინანსება (2,342.7 ათასი ლარით). ასიგნებების მნიშვნელოვანი შემცირება განპირობებულია COVID-19 პანდემიისა და მისგან გამოწვეული ეკონომიკური რეცესიის გამო, შემოსულობების მოცულობის შემცირებით.